№ 57

სამშაბათი, 12 მარტი 1896

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12 . . .	10	—	6 . . .	6	—
11 . . .	9	50	5 . . .	5	50
10 . . .	8	75	4 . . .	4	75
9 . . .	8	—	3 . . .	3	50
8 . . .	7	25	2 . . .	2	75
7 . . .	6	50	1 . . .	1	50

ცალკე ნომ. — ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1896

ივერია

№ 57

სამშაბათი, 12 მარტი 1896

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩ, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი №227

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის სახელმწიფო თეატრი

ოთხშაბათს, 13 მარტს

ქართველ არტისტების ამხანაგობისაგან გამართული იქნება წარმოდგენა ეფ. მესხისა ბ-ნი ვ. აბაშიძის და კ. მესხის მონაწილეობით

მადამ სან-ჟენ

კომედია 4 მოქმედ. მორო და სარდუსი,
თარგ. კ. მესხის მიერ

მონაწილეობას ღებულობენ: ქ-ნი ეფ. მესხისა, ჩხეიძისა, ბეზირგანოვისა, ცივცივაძისა, არლანისა, ბ-ნი აბაშიძე კ. მესხი, გუნია, შათირიშვილი, კანდელაკი, ადამიძე და სხვანი.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

გამგენი: { კ. მესხი.
ვ. აბაშიძე.

დროებითი კომიტეტი

რომელიც წყალ-დიდობისა და დიდის თოვლიანობისაგან დაზარალებულ ქუთაისის გუბერნიისა და ტფილისის გუბერ. გორის მაზრის მცხოვრებთა სასარგებლოდ შესდგა, ემორჩილესად სთხოვს მსურველთ შემოწირულება კომიტეტის თავმჯდომარის კნ. ე. ნ. ბაგრატიონ-მუხრან-ბატონის სახელზედ გაჰგზავნონ ხოლმე. (ლორის მელიქოვის ქუჩა, საკუთარი სახლი).

შემოწირულებას მიიღებენ აგრეთვე კომიტეტის შემდეგი წევრები: კნ. მ. ა. შარვაშიძისა (ახალი ბებუთოვის ქუჩა, საკუთარი სახლი). კნ. მ. ი. არღუთინსკი-დოლგორუკოვისა (გოლოვინის პროსპექტი, საკუთარი სახლი), კნ. მ. ვ. ორბელიანისა (ნიკოლოზის ქ., საკუთარი სახლი), კნ. ნ. დ. ჩოლაყაშვილისა (განოვის ქ., გურგენოვის სახლი, კნ. ე. მ. სუმბათაშვილისა (ერევნის მოედანი, საკუთარი სახლი), ა. ჶ. მილიუტინისა, უგანათ. თავ. პ. ა. გრუზინსკი (ერევნის მოედანი, სუმბათაშვილის სახლი), თავ. გ. ი. ორბელიანი (მიხეილის ქუჩა), თავ. დ. ა. გურამიშვილი (კონსულის ქ.) და თავ. ვ. ს. მიქელაძე (განოვის ქ., 7). შემომწირველთა გვარი და სახელები გაზეთის საშუალებით იქმნება გამოცხადებული. (7—5).

რადგანაც შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგისაგან ნებართვა მოვიდა, რომ ტფილისში ს.-პეტერბურგის ურთიერთთ შორის დამხმარებელ სამკურნალო საზოგადოების განყოფილება იქმნას გახსნილი, თანახმად ამა საზოგადოების § 12 მუხლის შენიშვნისა, პირთ, რომელთაც შუამდგომლობაზედ ხელი უწერიათ, მოვიწვევთ ამით იმ სხდომაზე, რომელიც სამშაბათს, 12 მარტს საღამოს 8 საათზედ იქმნება კავკასიის სამოქალაქო უწყების სამკურნალო ნაწილის გამგეობის სადგომში (საპერის ქუჩა, სახლი ისარლოვისა), რათა ტფილისის განყოფილების **გამგეობის წევრნი იქმნან ამორჩეულნი.**

ტფილისი, 12 მარტი.

10 მარტს საქართველოს ერმა უკანასკნელად დააფრქვია ცრემლი თავისი საყვარელის მწყემსთ-მთავრის ცხედრის წინაშე და საუკუნოდ მიაბარა იმ მიწას, რომელსაც არა ერთი და ორი დიდებული ქართველი აბარია. ღრმა მწუხარებით მოცულია მთელი ერი; მაგრამ ეს მწუხარება ერთი-ორად უფრო მწვავი ხდება მომავალის უცოდინარობით. ბუნების კანონია, რომ ერთი ადამიანი წავა და მეორე მოვა, მაგრამ ამ წესს, ამ კანონს კაცი ვერ შესჩვევია და ყოველთვის როცა ულმობელი კანონი კერძო შემთხვევაში აღსრულდება ხოლმე, ისე შევხვდებით, თითქო უჩვეულო რამ იყოს. ეს იმიტომ, რომ საშინელი ბოლო ჩვენის ცხოვრებისა მეტად მწარეა და მეტად უცნაური. ესეც არის, რომ კაცს ყოველთვის დაშთება ხოლმე სანუგეშო. რომც არა ჰქონდეს რა დიდი სანუგეშო გამოიგონებს, ამიტომ რომ სიცოცხლე თვისას თხოულობს, ის საშინელ ბრძოლაში სიკვდილთან, მისი მომლოდინე ყოველთვის ფრთხილია და ყოველს ღონესა ხმარობს კარგად გაუმკლავდეს მას.

ასეა მთელი ერიც, როცა საყვარელს წევრს, ძვირფასს შვილს მამულისას ჰკარგავს, ნუგეშს სხვაში იძიებს, თუგინდ წინანდელისთანა ვერც-კი იყოს იგი. იმედი, ნუგეში მთელი ერის ცხოვრებისთვისაც ისეთივე მიუცილებელია, როგორც კერძო კაცისათვის.

განსვენებული ყოვლად სამღვდელო მეტად მაღალი ღირსებით იყო აღჭურვილი, მაგრამ ამ საერთო მწუხარების დროს მაინც მის მაგიერს ვეძიებთ, მომავალის შემცქერალნი ცოტათი ვიმსუბუქებთ ღრმა მწუხარებას, მაგრამ თანაც შიში, რომ ვაჲ იმისთანა აღარ გვეყოლოსო, (რადგან მაგიერის მოძებნას ჩვენ არავინა გვკითხავს) სევდას გვიმატებს. ტყუილად ვინმე იფიქრებდა, რომ ჩვენს სასულიერო წოდებაში იმისთანა პირი არ მოიძებნებოდეს, რომელიც იყოს ღირსი ნეტარ-ხსენებულის მღვდელთ-მთავრის მოადგილეობისა. მხოლოდ მოძებნა უნდა და ამ მოძებნას უნდა ედვას აზრად ქართველი ერის სულიერი ინტერესები. ჩვენც ჩვენის მხრით, რასაკვირველია, უნდა გავუადვილოთ მოძებნა ვისიც ჯერ არს და უჩვენოთ ის პირი, რომლის დანიშვნაც იქნებოდა დიდი სანუგეშო განსვენებულის ეპისკოპოსის დაობლებულის სამწყსოსათვის.

ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ იმერეთის თავად-აზნაურობა, მისი წინამძღოლი და მთლად სამწყსო თავის მხრით ეცდებიან—იყოლიონ ნამდვილი მოადგილე იმერეთის ეპარქიის იმ მწყემსთ-მთავრისა, რომელიც 35 წლის განმავლობაში ისე სამაგალითოდ ასრულებდა მოვალეობას თავისი სამწყსოის მიმართ.

კიტა

დეპეშა

(საკუთარი).

ქუთაისი. 10 მარტი. მეტი მეტი ტალახია. წვრილად სწვიმს. სობოროს მოედანი, ქუჩები, რკინის გზის სადგური მოფენილია აუარებელი ხალხით. პროვინციიდამ და კავკასიის ყველა ქალაქებიდამ დიდ-ძალი საზოგადოება მოსული. 65 დეპუტაცია სხვა და სხვა დაწესებულებათა, წოდებათა და ამქართაგან, სამგლოვიარო კორტეჟი წინადვე დადგენილის წესს-რიგისამებრ გაემართა რკინის გზის სადგურისაკენ. წინ მიუძღოდა ეგზარხოსი ორი ეპისკოპოსი, 300-დე სასულიერო წოდების პირნი. ახლდენ გუბერნატორი, გუბერნიის მარშალი, მაზრის მარშლები, და მთავრობის წარმომადგენელნი. სამმა საგანგებო მატარებელმა გადიტანა გელათში განსვენებულის გვამი, გაიყვანა სამღვდელოება, დეპუტაციები და ნაწილი საზოგადოებისა. აუარებელი ხალხი წავიდა ფეხით. გელათში კორტეჟს წინ დახვდა დიდძალი ხალხი. გარდახდილი იქმნა წირვა, პანაშვიდი და წესის აგება. ეგზარხოსმა და სხვა წარმომადგენლებმა წარმოსთქვეს შესაფერი სიტყვები. მეექვსე საათზე ყოველიფერი და-

ფელეტონი

ბ-ნი პლებსი და ქალთა ემანსიპაცია.

დიდი ხანია, რაც ჩვენი ბედი ისე დატრიალდა, რომ იძულებულნი ვართ კრძალვითა და მოწიწებით მოვისმინოთ ხოლმე რასაც გვილაპარაკებიან მამა-კაცები. მით უმეტესი კრძალვა გვმართებს, როცა ჩვენ წინ სდგას განათლებული და გამოცდილი მამაკაცი და გვასწავლის, თუ რაშია ქალის დანიშნულება და მოვალეობა. თუმცა ჩვენში ესეთ მოძღვართა რიცხვი მრავალია, მაგრამ მათ შორის ჩვენთვის ყველაზედ უფრო შესანიშნავად უნდა ჩაითვალოს ბ-ნი პლებსი. ბ-ნ პლებსმა დაბოლოსაც იყო დუმილი დაარღვია და ქადაგათ მოევლინა ქართველ ქალებს. მოსალოდნელი იყო, რომ, თუ-კი ბ-ნი პლებსი რასმე იტყოდა ჩვენზე, უთუოდ საყურადღებო იქნებოდა; მაგრამ სინამდვილემ მოლოდინს ბევრად გადააჭარბა. ბ-ნ პლებსმა მთელი ჩვენი მოღვაწეობის გეგმა მოგვაწვდინა. ამიტომაც ამიერიდგან ქართველ ქალებს თავის ტეხა აღარ დასჭირდებათ თავიანთი პროგრამის გარკვევისათვის. დღეიდგან ჩვენ ვიცით, თუ რას უნდა ვაკეთებდეთ, რა და რა საშუალებებს უნდა ვხმარობდეთ, რომ კვალი დავტოვოთ ცხოვრებაში, გავლენა მოვიპოვოთ თანამედროვე საზოგადოებაზე. დიაღ, ერთი შეხედვით ჩვენ ამ მხრით უზრუნველ ყოფილი გვყო ბ-ნმა პლებსმა, რისთვისაც დიდ მადლობას ვწირავთ. მაგრამ, რადგან დღეს ქალებსაც ვეღარ გვიკრძალვენ, ოდნავ მაინც არი, კრიტიკულად შევხედოთ სხვა-და-სხვა მოძღვართა სწავლა-მცნებებს, ამიტომაც ვბედავთ ბ-ნ პლებსს მოვახსენოთ ჩვენი აზრი მის მოძღვრებაზე.

ბ-ნ პლებსს ახირებულ აკვიატებათ მიაჩნია განკაცების სურვილი ქალების მხრივ. იგი გაკვირვებით გვიკიჟინებს: „რა ნახეთ ისეთი მამაკაცებში, რომ განკაცების სურვილი მოსვენებას აღარ გაძლევსთ“-ო? ჩვენ აქნამდის გვეგონა, რომ ჩვენი მამაკაცები მიბაძვის ღირსნი იყვნენ; რომ მათ ჰქონდათ ისეთი ღირსებანი, რომელნიც ქალთათვისაც საჭიროა; ვფიქრობდით, რომ იგინი, ცოტად თუ ბევრად, ემსახურებოდნენ ისეთ საქმეებს, რომლებშიაც ქალებსაც უნდა ჰქონდესთ წილი; რომ იდეალი მამაკაცებს და ჩვენ ერთი უნდა გვქონოდა; საშუალებანი ამ იდეალის განსახორციელებლად საერთო უნდა ყოფილიყო. ახლა-კი ვტყობილობთ ბ. პლებსისაგან, რომ ეს შეცდომაა. ჩვენს მამაკაცებს არა გააჩნიათ-რა მიბაძვის და თანაგრძნობის ღირსი. ესეთი აღსარება ბ. პლებსის მხრით მეტად სამწუხარო აღსარებაა და ვიმედოვნებთ მით, რომ ბევრი ჩვენს მამაკაცთა შორის თანხმანი არ გაუხდებიან ბ. პლებსს. მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ ბ. პლებსი ჭეშმარიტებას ლაპარაკობს, დავეთანხმოთ ბ. პლებსს, რომ ჩვენი მამაკაცები ყოველ მისაბაძავ ღირსებებს მოკლებულნი არიან. რა გვმართებს მაშინ ჩვენ? ნუ თუ უნდა დავკარგოთ იმედი, რომ ქვეყანაზედ არიან ისეთი მამაკაცები, რომელნიც ღირსნი არიან მიბაძვისა? ჩვენ ვერ დავკარგავთ ესეთ იმედს, რადგან ჩვენი მდგომარეობის გაუმჯობესება შეუძლებელია სანამ არ შევიძენთ ისეთ მხარეებს, რომელნიც მამაკაცთა საუკეთესო კუთვნილებას შეადგენენ და ჩვენ-კი მოკლებულნი ვართ გარეშე პირობათა გამო. მაგრამ გულ ნატკენად ნუ დარჩებიან ჩვენზედ ჩვენი მამაკაცები, თუ მიბაძვის ღირსნი ჩვენ სხვაგან აღმოვაჩინოთ.

ბ. პლებსს სასაცილოთ არ ჰყოფნის ისეთი ქალები, რომელნიც მსურველნი არიან, რომ ქუდოსანთა და მანდილოსანთა შორის სრული თავისუფლება დაარსდეს და აწინდელი სათაკილო იურიდიული დამოკიდებულება შეიცვალოს. ჩვენ ვგონებთ, რომ აქ დასაცინარი არა უნდა იყოს რა.

როგორც მოგეხსენებათ, სხვათა შორის იურიდიული დამოკიდებულება უბორკავდა ხელ-ფეხს მონას, ყმას და მისაებრ დაჩაგრულ ნაწილს კაცობრიობისას; იურიდიულ უფლებათა მოპოებამ შეხსნა მონობის ჯაჭვი არსებობისათვის ბრძოლაში დამორჩილებულს და მისცა მას საშუალება ადამიანური ცხოვრებისაკენ წაედგათ ნაბიჯი. ქალები ამ მხრით ერთ დროს ბევრად არ განირჩეოდნენ ყმისა და მონისაგან. რომ მამა-კაცებზედ ყოფილიყო დამოკიდებული, ცოტად თუ ბევრად არი, იურიდიული განთავისუფლება ქალებისა, ანუ უკედ რომ ვსთქვათ, ზოგიერთ უფლებათა მინიჭება მათთვის, შეიძლება ქალი ვერც ერთ ამ სიკეთეს ვერ მოესწრებოდა. მაგრამ დროთა ვითარებამ ქუდოსნები იძულებული ჰყო ცოტა რამ გაეზიარებიათ თავიანთ უფლებიდგან მანდილოსნებთათვის. შორს რომ არ წავიდეთ, ამის მაგალითს ჩვენ ცხოვრებაშიაც ვნახავთ. როგორც იცით, ბატონ-ყმობის მოსპობამ ძირიანად შესცვალა ჩვენი ცხოვრება. მანამდის უზრუნველი ბატონი, სხვისი შრომის ნაყოფით განებივრებული, თვისი თავის ანაბარა დარჩა. ან ხელების გაფაცურება, გარჯა, მუშაობა; ან სიკვდილი სიმშილით, აი რა გვარი კითხვა მოაყენა კარზედ ნაბატონებს ახალმა ცხოვრებამ. ამ კითხვამ მწარედ ჩააფიქრა ქუდოსანი ნაბატონები. აღარ იცოდა რა ექნა. იფიქრა, იფიქრა და ბოლოს გადასწყვიტა: მოდი ამ ჩემ ჩაკეტილ მანდილოსანს კარს გაუღებ, რომ გარეთ გამოვიდეს და დამეხმაროს ცხოვრებაში, თორემ სწორედ გლახათ არის ჩემი საქმეო. ამნაირად ცხოვრებისაგან ძალ-დატანებულმა ქუდოსანმა კარი გაუღო დამწყვდეულს მანდილოსანს და გულ-მტკივნეულად მოახსენა: ახლა-კი გამობრძანდი გარედ, მიიხედ-მოიხედე, ძველებურად ცხოვრება ხელს აღარ მოგვცემსო. მანდილოსანი, რასაკვირველია, სიხარულით მიეგება ამ მოწოდებას და შეძლების და გვარად შეუდგენ ქუდოსანთან ერთად ცხოვრების უღლის წევას. რაკი ერთხელვე იგემა მანდილოსანმა თავისუფლება, რა თქმა უნდა, ის არამც-თუ აღარავის დაუთმობდა ამ საუნჯეს, კიდევ წინ წავიდოდა და, მართლაც, გლეხების განთავისუფლების შემდეგ, თუმცა დიდის გაჭირვებით-კი, კიდევ რამოდენიმე ნაბიჯი წავდგით თავისუფლებისაკენ. ეს ყველასათვის თვალ-საჩინოა დღეს. ჩვენ გვეგონა, ამ გვარად შეცვლა ჩვენის მდგომარეობისა არაფერს სახიფათოს და საშიშარს არ წარმოადგენდა. ახლა-კი ვხედავთ, ჩვენის ცხოვრების ოდნავ გაუმჯობესება ბევრს თურმე მოსვენებას აღარ აძლევს და შიშის ქარებსა ჰგვრის. აი თუნდ ბ. პლებსი.

სრულდა. საგანგებო მატარებლებმა ხალხი უკან წაიყვანა.

ახალი ამბავი

⁂ კვირას, 10 მარტს, ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის დასაფლავების დღეს, ანჩისხატის საკრებულო ტაძარში ეპისკოპოსის ალექსანდრეს მიერ გარდახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. წირვის შემდეგ მღვდელთ-მთავარმა ალექსანდრემ წარმოსთქვა დღის შესაფერი გრძნობით სავსე სიტყვა. წირვასა და პანაშვიდს დაესწრნენ ტფილისის გუბერნიის და მაზრების თავად-აზნაურთა წინამძღოლი, წარჩინებული საზოგადოება ტფილისის პოლიცმეისტერი და აუარებელი ხალხი.

⁂ კვირას, 10 მარტს, გარდახდილ იქმნა აგრეთვე პანაშვიდი ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში ეპისკოპოსის გაბრიელის სულის მოსახსენებლად პირუტყვთა მფარველ ტფილისის საზოგადოებისაგან, რომლის განსვენებული გაბრიელი საპატიო წევრად იყო, პანაშვიდს აქაც მრავალი საზოგადოება დაესწრო.

⁂ „ტფილისის მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა საზოგადოების“ თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ერთხმად გუშინწინდელ წლიურ კრებაზე ხელ-ახლავ კნ. მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურ-ორბელიანისა.

⁂ ქუთაისიდამ გვწერენ: განსვენებული იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის სახსოვრად შედგა საერო კომიტეტი, რომელსაც აზრად აქვს დააარსოს ფონდი სამუდამო სტიპენდიის დასაარსებლად. თუ საკმაო თანხა შეიკრიბა სტიპენდია დაენიშნებათ უნივერსიტეტში ღარიბ მოსწავლეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ე. ი. თუ თანხის სიცოტავისა გამო შეუძლებელი იქნა უმაღლეს სასწავლებელში სტიპენდიის დანიშვნა, სტიპენდია საშუალო სასწავლებლის ღარიბ მოწაფეებს დაენიშნებათ. კომიტეტს შეადგენენ შემდეგნი პირნი: ქუთაისის გუბერნიის წინამძღოლი, ქალაქის მოურავი, სათავად-აზნაურო და საურთიერთო ნდობის ბანკების თავმჯდომარენი და კ. დ. ბაქრაძე.

შემომწირველთა შეუძლიან ფული გამოგზავნონ ზემო აღნიშნულ პირების სახელზედ ქუთაისის საურთიერთო ნდობის ბანკში.

⁂ კვირას, 10 მარტს, ვანქის საკრებულო ტაძარში გარდახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი შარშან გარდაცვალებულის ქალაქის მოურავის პ. ა. იზმაილოვის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდის შემდეგ აკურთხეს განსვენებულის პატივისცემისათვის აგებული ძეგლი. ხალხი ბევრი დაესწრო.

⁂ შუშა: ქ-ნის ე. ა. აბელაძის თაოსნობით აღდგომის კვირაში აქ იმართება სალამო დასავლეთ საქართველოში წყალ-დიდობით დაზარალებულთა სასარგებლოდ.

⁂ ელენოვკიდამ გვაუწყებენ დეპეშით: „ბაიაზეთიდამ მოვიწვიეთ მღვდელი, გარდავიხადეთ პანაშვიდი ეპისკოპოსის გაბრიელის სულის მოსახსენებლად. აქაურები დიდად ვწუხვართ ამ ძვირფასის დანაკარგისათვის. ვასილიევი, ვაჩნაძე, ფხაკაძე, ჯავროვი და ბოლქვაძე.“

⁂ ცაგერიდამ მივიღეთ დეპეშა: „ცაგერის ეკლესიაში განსვენებულის ეპისკოპოსის სულის მოსახსენებლად მრავალის ხალხისა და აქ მსახურთა თანადასწრებით პანაშვიდი იქმნა გარდახდილი და დავიწყეთ ხელის-მოწერით ფულის შეკრება განსვენებულის სახელობაზე სტიპენდიის დასაარსებლად.“

⁂ ,,წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას‘‘ მიუღია ბაქოდან,—სადაც იყო გამართული საქველმოქმედო სალამო,—1142 მ. 5 კ. ამდენივე ფული გამოუგზავნიათ წყალდიდობისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას დანიშნულებისამებრ გარდაუდვია: 400 მანეთი მომავალ ქალთა სკოლისათვის, 100 მან. დრამატიულ საზოგადოებისათვის და 42 მ. და 5 კ. ტომსკის უნივერსიტეტის სტუდენტი მალალაშვილისათვის („კვალი“).

⁂ «ნოვ. ობოზრ.»-ს ატყობინებენ, რომ ებრაელთა საქმე, რომელნიც შარშან იქმნენ დატუსაღებულნი კოსტავას რიონში გადავარდნისა და დარჩობის გამო, უკვე გაირჩა. სასამართლომ ეს ამბავი უბრალო ჩხუბათ ჩათვალა და მიუსაჯა სამს ებრაელს—აბრამა ტოროქიშვილს, მიხეილ დავითიაშვილს და შაბათა ხანანაშვილს ოთხის თვით დაპატიმრება. სასამართლოს განაჩენით პროკუროსის თანაშემწე უკმაყოფილო დარჩა და საქმეს გადიტანს სადაც ჯერ არს. მალე გაირჩევა აგრეთვე საქმე იმ 200 ქრისტიანთა, რომელთაც ბრალდებათ ურიების უბანში უწესოების მოხდენა.

⁂ სოფ. ხცისი: (გორის მაზრა) ამა მიმდინარე დიდმარხვაში რამდენჯერმე იქმნა გარდახდილი წირვა და პანაშვიდი აწ განსვენებულის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის სულის მოსახსენებლად. ხალხი პანაშვიდებს მუდამ ბევრი ესწრებოდა.

⁂ სოფ. ფასანაური: 9 თებერვალს ფასანაურის წმინდა პეტრე-პავლეს ეკლესიაში გარდაიხადა ადგილობრივმა მღვდელ-ბლაღოჩინმა მამა ზაქარია დავიდოვმა, პანაშვიდი ჩვენის დაუვიწყარის მწყემს-მთავრის გაბრიელ ეპისკოპოსის სულის მოსახსენებლად, პანაშვიდის შემდეგ მამა ზაქარია დავიდოვმა წარმოსთქვა მოკლე სიტყვა.

⁂ მერეთი (გორის მაზრა): შაბათს, 2 მარტს, აქ გარდახდილ იქმნა პანაშვიდი ჩვენის ღირსეულის მოძღვრის გაბრიელ ეპისკოპოსის სულის სოსახსენებლად.

კორესპონდენცია.

ს. კავკავი. ნეტარ ხსენებულის და დაუვიწყარის მწყემსთ-მთავრის გაბრიელის გარდაცვალების ამბავმა ძლიერ დააღონა და დაანაღვლიანა აქაური არა მარტო ქართველობა, არამედ სხვა უცხო ხალხიც, ვისაც-კი რამე გაუგონია განსვენებულის შესახებ. იმისთანა ძვირფასს მამულიშვილს და ყოვლად პატიოსან მოღვაწეს, ყოველის მხრით განვითარებულს და ნიჭით აღვსილს ადამიანს, როგორიც იყო ჩვენი ხალხის სასიქადულო და სიამაყე მწყემსთ-მთავარი, ყოველთვის და ყოველგან აქვს და ექნება კიდეც მიმზიდველი ძალა, აღმზრდელი მნიშვნელობა. ნეტარ ხსენებული მოძღვარი ქრისტეს რჯულისა და სულიერი მამა იმერეთის სამწყსოისა გაბრიელი, არათუ ქართველი ერისათვის არის მუდამ დაუვიწყარი, არამედ ყველა ზნაკის კაცი, ყველა ერის ნიჭის თაყვანისმცემელნი, ვისაც არ დაუკარგავს კაცობრიული გრძნობა და აზრი—ერთნაირის სიმპატიით უნდა ეგებებოდეს ძვირფასის მოძღვრის სახელს.

ათს თებერვალს აქაურს ქართულ სასწავლებელში გადახდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებულის მღვდელთ-მთავრის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდზე ხსენებულის სკოლის ყველა მოწაფეთა გარდა დაესწრნენ მათი მშობლები და ბევრი სხვა. პანაშვიდის დასაწყისში დამსწრე საზოგადოებას განუმარტა თუ-რა ძვირფასი დანაკლისი [illegible] ქართველმა ხალხმა განსვენებულ მღვდელთ-მთავარში, რისთვისაც ცხარე ცრემლით იმდურება დღეს ყველა პატივისმცემელი განსვენებულისა. პანაშვიდის შემდეგ დეპეშა გაიგზავნა ქუთაისში, რომელშიაც აქაური ქართველები, სივრცით განშორებულნი სამშობლო მიდამოს, მაგრამ სულით და გულით განუშორებელნი და მუდამ მონაწილენი სამშობლო ქვეყნის ყველა ჭირსა და ვარამში, უცხადებდნენ დაობლებულ სამწყსოს თავიანთ მწუხარებას, გამოწვეულს ღრმად პატივცემულის მღვდელთ-მთავრის გარდაცვალებით.

ოც-და-ხუთს თებერვალს, როგორც გამოცხადებული იყო აქაურს რუსულს გაზეთებში, ყოვლად სამღვდელოს ვლადიკავკაზის და მოზდოკის ეპარქიის ეპისკოპოსს ვლადიმირს უნდა გადეხადა პანაშვიდი წირვის შემდეგ განსვენებულის მღვდელთ-მთავრის სულის მოსახსენებლად, მაგრამ ეპისკოპოსის ვლადიმირის ავადმყოფობის გამო, პანაშვიდი აქაურს საკრებულო ტაძარში იმავე დღეს საკრებულო ტაძრის დეკანოზის მამა ბელიაევის მიერ გარდახდილ იქმნა, რომელმაც გრძნობით სავსე სიტყვა წარმოსთქვა განსვენებულის გაბრიელის შესახებ, რომელიც თავისი ნიჭით და სამაგალითო მოღვაწეობით თავისს სამწყსოს სასარგებლოთ წარმოადგენდა თითით საჩვენებელს მაგალითს, რომელსაც ძნელად თუ ვინმე ჰყავდა ბადალი მთელს რუსეთის იმპერიაში. პანაშვიდს დაესწრნენ თერგის ოლქის უფროსი მეუღლით, სხვა ბევრი საპატიო პირები, განსვენებულის პატივისმცემელნი და ბევრი რიცხვი ადგილობრივი ქართველებისა, რომლის თვალებიდამ შენიშნავდით გადმოვარდნილს არა ერთს ცრემლს სიმართლიანი გლოვისა და სამწუხარისას.

„ღმერთს გეფიცებით ჩვენ სამაგისო არა გვაბადია რა; ჯიბრში ნუ გვიდგეხართ, ნუ გვექიშპებითო“, შეშინებულის კილოთი გვემუდარება იგი, თითქო ვინმე მთელს საცხოვრებელზე ხელს აღებინებდეს.

რომ უფრო ადვილად აიცილოს ხიფათი და ჩვენც დაგვიხსნას დაღუპვისაგან, ბ. პლებსს მეტად მგრძნობიერს სიმებზედ ჟღერა მოურთავს. ის გატაცებით გვიქადაგებს: „მანდილოსნებო, თუ გინდათ, რომ შეიქნეთ ბურჯი ჩვენის ერის ცხოვრებისა, ღირსნი შვილნი მამულისა, დაუბრუნდით ოჯახს, შეეფარეთ მისს ჭერს და იწყეთ მოღვაწეობა ოთხ კედელ შუა; აღორძინეთ დედა-ენა, აღამაღლეთ და განამტკიცეთ ზნეობრივი მხარე მოზარდის თაობისა; აღადგინეთ ქონებრივად დაცემული სახლ-კარიო და სხვა...“

„ჩვენს ქალს ისტორიამ ხვედრად საოჯახო ასპარეზი დაუცალა და აწინდელი მდგომარეობაც ასეთს მოვალეობას აკუთვნებს ქალს; ოჯახი ქალის უმთავრესი საასპარეზო ყოფილა და კიდეც იქნებაო“, დასძენს ბ. პლებსი. დიახ, კარგი და პატიოსანი, ბ. პლებსო, მაგრამ რად ივიწყებთ და რად გვავიწყებინებთ, რომ ქალს ისტორიამ სხვა ბევრი რამეც არგუნა. თანამედროვე ქალი ცხოვრების წალმა-უკუღმა ტრიალმა ძლიერ კარგად მიახვედრა, მაგალითად, რომ სანამ ის ნივთიერად, ოდნივ არის, დამოკიდებული იქნება ქუდოსანისაგან, ვერ გამოვა ამ ქუდოსნის მორჩილებისა და ხელქვეითობისაგან, ვერ ეღირსება იგი ღირსეულს ცხოვრებას. რა გინდ მოყვარული ქმარშვილი ერტყას მას გარშემო, იგი მაინც მონა იქნება, თუმცა საყვარელი და სათაყვანო. შეგნებულნი ქალები დღეს დარწმუნებულნი არიან, რომ დამოუკიდებელი, თვისის შრომით მოპოვებული ლუკმა საფუძველია, რომელზედაც უნდა აშენდეს მამაკაცთა და მათ შორის ნამდვილი კავშირი, სიყვარული და თანასწორობა. გარეშე ამ პირობისა ქალთათვის შველა არ არსებობს. ყოველგვარი მაღალ მაღალი ფრაზები, ჰუმანური იდეები, რომელნიც ენაზედ აკერიათ დღეს მუქთ-ლიბრალე ემანსიპატორებს, ყალბ მანეთიანს წარმოადგენენ. და თუნდ ასეც არ იყოს, თუნდ ბევრსაც ცდილობდნენ დღეს ქუდოსნები, რომ ქალებს მიენიჭოს სხვა და სხვა გვარი უფლებანი, შეგნებულ ქალს დიდად ვერ გაიტაცებს ესეთი მოქმედება მამა-კაცებისა; ეს მისთვის, რომ დამოუკიდებლობა, თავისუფლება მხოლოდ მაშინ ამაღლებს კაცის პიროვნებას, როცა იგი საკუთარის მეცადინეობით და ღონით არის მოპოვებული. შეგნებული ქალები კარგათ ხედვენ, რომ ცხოვრება ბრძოლაა და ბრძოლაშიკი უძლიერესი რჩება გამარჯვებული. სრული შერიგება, დამეგობრება უნდა მოჰყვეს მხოლოდ ბრძოლას. აი, ბ. პლებსო, რა დაავალა და რას მიახვედრა ისტორიამ თანამედროვე ქალი. ამასთან ერთად თანამედროვე ქალი კარგათ ხედავს, რომ კაცობრიობა ძალა-უნებურათ ერთდება მასშივე არსებული ბრძოლის გამო; საზოგადობრივი ინსტინკტი ძლიერდება, ჩნდება და იზრდება საკაცობრიო იდეალი; დღითი დღე ვრცელდება სხვა და სხვა გვარი საშუალება საუკეთესო მერმისის მისაღწევად; ფართოვდება ასპარეზი საზოგადო მოღვაწეობისათვის; ამიტომაც ოჯახი თვისი ჭერით და ოთხი კედლით თან და თან ჰკარგავს ერთად ერთი სარბიელის მნიშვნელობას; ცხოვრება ძალა-უნებურად გეზიდებათ იქ, სადაც ათი და ასი თქვენისთანა შრომობს, იბრძვის, რომ თვისი წვლილიც შეიტანოს ერის კულტურის სალაროში და მით გახდეს ღირსი კაცის სახელის ტარებისა. რომელი მხრიდანაც გინდათ გასინჯეთ, თუნდა ჩვენი უფერული ცხოვრება, და დაინახავთ, რომ განცალკევებულს, ოთხკედელ-შუა მომწყვდეულს მოღვაწეობას აღარც ადგილი აქვს, აღარც აზრი. ამიტომაც ქალები ვერც ერთ შემთხვევას ხელიდგან ვერ გაუშვებენ და შრომას გასწევენ იქ, სადაც მათთვის შესაძლო იქნება.

«წინათ ეგონათ, რომ საქართველოც ამერიკა და ინგლისიაო და რასაც იქაური ქალები თხოულობდნენ, ჩვენც ის უნდა მოვითხოვოთო. ქართველი ქალები ნამდვილს საეროვნო კვალს ასცდნენ, მტკიცე ნიადაგი დაჰკარგეს, ლიპს გზას დაადგენ, უფრო ფანტაზიის და ოცნების სფერას მიეცნენ და ამიტომ უფლების ძებნის და მოპოვების ღალადება დაიწყესო“, ბრძანებს ბ. პლებსი.

ცხადია, რომ ჩვენი ქვეყანა ევროპა-ამერიკა არ არი, მაგრამ ნუ თუ ეს იმას მოასწავებს, რომ ჩვენ ცხოვრებას ევროპა-ამერიკის ცხოვრებასთან არავითარი კავშირი და მსგავსება არ აქვს? თუ ეს ასე გახლავს, ჩვენ თვით ტაიტიელებზედ და პატაგონიელებზედაც დაბლა ვმდგარვართ; ჩვენი ათასი წლის კულტურას ისე ჩაუვლია, რომ ოდნივი ნიადაგიც ვერ შეუქმნია, რათა ცოტა მაინც რამ გადმოგვენერგა ევროპა ამერიკიდგან ჩვენში. ვიმეორებთ, ჩვენი ქვეყანა ევროპა-ამერიკა არ არის; ეს დღეს ბ. პლებსზედ ნაკლებათ აღარავინ იცის; მაგრამ გარდა ამისა ჩვენ ვიცით კიდევ ის, რომ, რამდენათ დრო გადის, იმდენათ ჩვენი ქვეყანა ემსგავსება ევროპა ამერიკას. ყველა ქართველი ქუდოსნები ბ. პლებსის მეთაურობით რომ ქადაგად გამოვიდნენ, ჩვენი ცხოვრების გაევროპიელების პროცესს მაინც ვერ შეაფერხებენ. ევროპა-ამერიკამ ისე მაგრად ჩაგვჭიდა ხელი, რომ თავის დახწევა შეუძლებელია. ჩვენ, სწორე მოგახსენოთ, აქ სამწუხაროს ვერას ვხედავთ, რომ ევროპას არ შეერყია ძირიანათ რუსეთის ცხოვრება მაგალითად, ყირიმის ომის დროს, შეიძლება გლეხთა განთავისუფლება, ჩვენშიაც და რუსეთშიაც კიდევ რამოდენიმე ათი წლით გადაიდებოდა და ჩვენი ქალებიც კიდევ კარგა ხანს დარჩებოდნენ ჭერ-ქვეშ მომწყვდეულნი. ასე, რომ თუ ქართველი ქალები თხოულობდნენ და თხოულობენ დღესაც იმას, რასაც ელტვიან ევროპის და ამერიკის ქალები, ეს საეროვნო ნიადაგის აცდენას-კი არ ნიშნავს! ბევრი კითხვები, რომელნიც ევროპისა და ამერიკის ცხოვრებამ გამოიწვია, ჩვენ ეროვნულ კითხვებათ იქცნენ. მართლაც, ნუ თუ ბ. პლებსი ფიქრობს, რომ კითხვები, რომელნიც აღელვებენ დღეს დასავლეთ ევროპის პატარა ერებს, ჩვენთვის არსებითს არას წარმოადგენენ და თუ ესე არა ფიქრობს ბ. პლებსი, მაშ რაღათ ჰგონია, რომ ამ კითხვების გარდაწყვეტაში ჩარევა ჩვენი ქალების მხრივ ეროვნული, მტკიცე ნიადაგის აცილება იქნება? ნუ თუ ოცნებისა და ფანტაზიის სფერაში ფარფაშად უნდა ჩაეთვალოს ქართველ ქალს მეცადინეობა უფლებათა მოპოვებისათვის, სამოქმედო ასპარეზის გაფართოებისათვის? განა ამას დღეს უქმი ფანტაზია თხოულობს და არა თვით ცხოვრება? რამოდენად უფრო ფართო იქნება სამოქმედო ასპარეზი ქალებისა, იმდენად უფრო მეტი შემთხვევა არ ექნება მათ იბრძოლონ „სულის შემხუთავ პირობების“ წინააღმდეგ, ემსახურონ მას, რაც „ჩვენი ერის და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ ხელის მოწერა არის გამართული განსვენებულის მწყემსთმთავრის სახელობაზე თანხის შესადგენათ. ამ ხელის მოწერას დიდის თანაგრძნობით მოეკიდა ყველა და არ ზოგავს ამისთვის თავიანთ წვლილს, რომ შეძლებისა და გვარად მცირე რამე შემატონ საზოგადო თანხას განსვენებულის სახელზე დაარსებულს. განსვენებულის მწყემსთ-მთავრის გამოსვენებისა და დაკრძალვის დღისათვის აქედამ გაიგზავნა მშვენივრად შემკული ქართული სასარება.

ლ. ბოცვაძე.

უცხოეთი

—

იტალია. დეპუტატი მაკოლია, რომელიც იტალიელ ჯარებს ახლდა აბაშეთში, იწერება, რომ ბარატიერზე უფრო კრისპია ჩვენს დამარცხებაში დამნაშავეო. კრისპიმ მოსწერა ბარატიერს ომი დაიწყეო. კრისპი ამბობს, ყველა ეს ტყუილია, მე ვსწერდი და ვაფრთხილებდი ბარატიერს უსარგებლო ომს და ბრძოლას თავი დაანებეო.

ამ დღეებში გამოირკვევა რამდენად არის დამნაშავე ან კრისპი და ან ბარატიერი. ბარატიერს გაასამართლებენ და ეჭვი არ არის, თუ კრისპის რაიმე დანაშაულობა მიუძღვის, ბარატიერი სამართალში გამოამჟღავნებს.

— „ოპინიონე“ ახალი მთავარ-მინისტრის გაზეთი ამბობს: გენერალმა ბალდისერამ საძაგელი სამკვიდრო მიიღო ბარატიერისაგან. ნეგუსსა ჰსურს იტალიელები ერიტრეიდამ განაძევოს და მეწამულ ზღვაზე მოიპოვოს ნავთ-სადგური. დერვიშები ეხლა ისე მოქმედობენ, ასე გეგონებათ, მენელიკს დაკავშირებიან. კასსალას დაფარვა შესაძლებელია მხოლოდ მანამდის, სანამ წვიმები დაიწყებოდეს, მაგრამ ადიგრატს-კი დიდხანს ველარ დავიცავთ. ნეგუსსა ჰყავს 80,000 ჯარის-კაცი. ბალდისერას ეხლა ერთი-ღა დარჩენია: ასმარას, გინდას და საათის დაცვა. თუ-კი ეს ციხე-სიმაგრეები კარგად გამაგრდენ, მენელიკის ჯარი აღარ დაეცემა. მხოლოდ მაშინ შეიძლება ზავზე მოლაპარაკება დავიწყოთ, თუ გვინდა ჩვენი ნაციონალური ღირსება არ დამცირდეს. თუ ამან აღარ იკმარა, მაშინ ეხლავ შევუდგეთ ომისათვის მზადებას. ყოველს შემთხვევაში იტალიის ჯარმა უნდა დაიკავოს რამდენიმე ციხე-სიმაგრე და ისე კარგად გაამაგროს, რომ მტრის შეტევამ ვერა დააკლოს-რა. ცუდს მდგომარეობაში ვართ ჩაყენებულნი, მაგრამ სასოწარკვეთილებას მაინც არ უნდა მივეცეთ, რადგან საამისო არა დაგვმართნია-რა. ხალხი მზად არის ყოველნაირი მსხვერპლი მოიტანოს ნაციონალურის პატივის დასაფარავად.

— ამბობენ, რომ მენელიკმა მიჰმართა თხოვნით პარისისა და პეტერბურგის სამინისტროს რჩევა მომეცით, როგორ მოვიქცე იტალიასთან მოლაპარაკების დროსაო. პარისის სამინისტროს ვითომ შეეთვალოს, როგორც-კი წვიმები დაიწყება გამოგზავნე ელჩები და დაწვრილებით შემოგვითვალე რანაირად და რა მიზეზით მოგიხდათ ომი იტალიასთანაო.

მენელიკი თხოულობს თურმე, რომ იტალიამ უარჰყოს იმ პირობის ერთი მუხლი, რომელიც უჩიალში ხელმოწერილი და რომლის ერთი მუხლიც (17) მეტად ავიწროებს აბაშეთს უცხოელ სახელმწიფოებთან დამოკიდებულებაში.

ინგლისი. უკანასკნელი ცნობები კაირიდამ და ლონდონიდამ გვარწმუნებენ, რომ ინგლისმა სუდანთან მოგერებითი პოლიტიკას თავი დაანება და შეტევითი პოლიტიკის გზას დაადგა. დერვიშები სუდანიდამ აღარ აწუხებდნენ ეგვიპტეს 1895 წლიდამ და არც ინგლისი ეტანებოდა იმათ საზღვრებს. მაგრამ უკანასკნელმა შემთხვევებმა—აბაშეთის იტალიაზედ გამარჯვებამ და შიშმა, ვაი თუ საფრანგეთიც შეგვეცილოს ნილოსის სათავეში მდებარე ადგილებზეო, ინგლისს ხელი გამოაღებინა და შეტევითი მოქმედება დააწყებინა. ეს ექსპედიცია ეგვიპტიდამ ჯარების გამოყვანის საქმესაც გადაადებინებს დიდის ხნით ინგლისს. ახალგაზდა ჰედივს, სულთანის მოადგილეს ეგვიპტეში, საშინლად უნდა უკან დაიბრუნოს სუდანი და ამიტომ დიდის სიამოვნებით გაგზავნის ჯარებს იქა. ჯერ ჯერობით ჯარი დონგოლასაკენ გაილაშქრებს, მაგრამ ეჭვი არ არის, როგორც „ტაიმს“-ის სიტყვებიდამა სჩანს, ინგლისი კასსალასაკენაც გაიწვდის ხელს, რადგანაც კასსალას დაპყრობა დიდი საჭიროა ნილოსის სათავეში მდებარე ადგილების დასაფარავად.

◆

ახალი საზოგადოება.

ჩვენ უკვე ვაცნობეთ მკითხველთ, რომ ტფილისში დაარსდა ახალი საზოგადოება „შუამავალი“. ჩვენ მოგვივიდა ამ ამხანაგობის წესდების პროექტი, რომლიდან გვთხოვენ გადავბეჭდოთ ზოგიერთი საყურადღებო მუხლი.

§ 1. ამხანაგობას აქვს საგნად გაუჩინოს ბაზარი მწარმოებელთ და შეუმსუბუქოს ხარჯი მხმარებელთ (მყიდველთ), ე. ი. იქმნას ნამდვილი შუამავალი მწარმოებელთა და მხმარებელთა შორის.

§ 2. ამ აზრით ამხანაგობა ყიდულობს და ჰყიდის ა) ყოველსავე საგანს ადგილობრივის წარმოებისას, როგორც მაგალითად: ღვინოს, პურს, სიმინდს, ქერს, ზეთსა და ერბოს, ყველს, ხე-ტყეს, ხილეულს და სხვ. და ბ) ყოველსავე ნაწარმოებს რუსეთის დ სხვა ქვეყნებისას, როგორც მაგალითად: ყოველგვარს მანქანებს (მაშინებს), იარაღებს დასაკრავსა და სამუშაოს, რკინეულს, აბრაშუმეულს, მატყლეულს, ბამბეულს, შუშეულს, საციქველს სახლისას, ყოველსავე ნივთს, რაც კი ყოველდღიურს საჭიროებას შეადგენს ჩვენს ცხოვრებაში.

§ 3. ამხანაგობას შეუძლიან მიიღოს ყოველივე ზემოხსენებული საგნები აგრეთვე კომისიითაც, ხოლო მწარმოებელს უნდა მისცეს ამისი განწესებული ბარათი (კვიტანცია) და გაყიდვის შემდეგ დაუჭიროს 5—10% თავისი შრომისა და შენახვის ფასად. რაიცა შეეხება პირდაპირ საშუამავლო საქმეებს და ზოგიერთს საძნელო შემთხვევებს, გამგეობას ეძლევა უფლება საქმე ურთიერთ შორის მორიგებით გაათავოს.

§ 4 დაიწყებს-რა ამხანაგობა თავის მოქმედებას, შეუძლიან თავისუფალი თანხიდგან აძლიოს მან სესხად ფული სოფლის მწარმოებელთ, ხოლო არა უმეტეს 40% უკვე ამხანაგობასთან მოზიდულის ჭირნახულის ფასის კვალობაზედ; სრული ანგარიშის გასწორება-კი გადაიდება მთლად ჭირნახულის გაყიდვამდე და თან, რასაკვირველია, დაცულ უნდა იქმნას § 3 ამა პირობისა. უკეთუ ამხანაგობას ექმნება უფრო მომეტებული თავისუფალი თანხა, შეუძლიან მან აძლიოს ფული სესხად სოფლის მწარმოებელთ აგრეთვე მათი მომავალის მოსავლის თავდებობითაც, ხოლო რიგი და წესი ამგვარად ფულის გაცემისა შემუშავებულ უნდა იქმნას საზოგადო კრების მიერ.

§ 5. მიიღებს რა ფულს სესხად თავისის მოზიდულის ჭირნახულის ფასობაზედ, სოფლის მწარმოებელი აძლევს ამხანაგობას განწესებულ ბარათს კეთილ-საიმედო პირთა თავდებობით და კისრულობს ყოველგვარს ხარჯს, რაც-კი ამ საქმეს დასჭირდება.

§ 6. ვალი, რომელიც არ იქმნება დაბრუნებული საკომისიოდ აღებულის საქონლის გაყიდვის შემდეგ, უნდა შეივსებოდეს თამასუქის განახლებისათანავე სათადარიგო თანხიდგან.

§ 7. ამხანაგობასა აქვს ნება: ა) შეიძინოს თავის საკუთრებად ქონება უძრავი და მოძრავი, ბ) გამართოს და იქონიოს ქარხნები, სავაჭრო კონტორები, ბიუროები, სააგენტოები, საწყობები, მაღაზიები, სოფლის დუქნები, სარდაფები და სხვ. გ) იყოლიოს საკუთარი რწმუნებულნი, სხვა და სხვა სპეციალისტნი, აგენტები, ნოქარნი და სხვანი.

§ 8. თანხა ამხანაგობისა შესდგება საწევრო გარდასახადის პაის ფულიდგან. ფასი თითო პაისა ერთი თუმანია.

შენიშვნა 1. ეს ფულები შეიძლება შემოტანილ იქმნას აგრეთვე ნაწილ-ნაწილ, ხოლო მთელი საწევრო გარდასახადი შევსებულ უნდა იყოს სამის თვის განმავლობაში.

შენიშვნა 2. როდესაც ამხანაგობა შეუდგება უკვე ნამდვილ მოქმედებას, მაშინ ამ ფულში შეიძლება მიღებულ იქმნას აგრეთვე ჭირნახული, მხოლოდ კი ამხანაგობის გამგეობისაგან უნდა იყოს დაფასებული.

§ 25. მოგება განაწილდება ამ გვარად: 30% მიეთვლება ძირის თანხას, 10% სათადარიგოს და 60% მიეცემა დივიდენდათ პაის პატრონთ.

შენიშვნა. საზოგადო კრებას აქვს სრული უფლება გადასდოს საზოგა-

მცველი და აღმადგენელია»? განა ქართველ ქალს არ შეუძლია დედაენას ემსახუროს სცენაზედ, ლიტერატურაში, სკოლაში? განა ქართველი ექიმი ქალი ნაკლებ სარგებლობას მოუტანს თვისს ერს, ვინემ ოთხ კედელ შუა ჩაკეტილი, საფეიქროში ჩამჯდარი მანდილოსანი? თუ ბ. პლებსი ფიქრობს, რომ ვერც ერთ ამას ქართველი ქალი ვერ შესძლებს? მაშინ ურჩევა ბ. პლებსს მოძღვრებას თავი დაანებოს; და თუ ამას არა ჰფიქრობს, მაშ რაღათ გვეპატიჟება მარტოკა ოჯახისკენ? „აწინდელ დროს, როცა ქართველთათვის თვით-მოქმედების სარბიელი შევიწროვდა და შემცირდა, ოჯახი უნდა შეიქნეს ყოველგვარ (sic) თაოსნობისა და საეროვნო მოღვაწეობის უმთავრესს ადგილათ და ქალისთვის ეს საქმე უფრო მოსახერხებელიაო“, განმარტებს ბ. პლებსი. ამას გვეუბნება ბ. პლებსი იმ დროს, როცა ჩვენი ერი ძილისაგან იღვიძებს, გონს მოდის, ერთიანდება, როცა ქართველ ერს აღმოჩენია საერთო ვარამი?!. მაგრამ დავეთანხმოთ ბ. პლებსს; ვთქვათ, ავდექით უმეტ-ნაკლებოთ ყველა ქართველი ქალები და მოვექეცით ჩვენ ჩვენი ოჯახების ჭერთ ქვეშ და შევუდექით ბ. პლებსის გეგმის განხორციელებას; მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს აქაც მოგვაგნეს ჩვენმა ავის მოსურნეებმა! სადღა წავიდეთ მაშინ?! რასაკვირველია მაშინ შიგ იატაკებ ქვეშ უნდა მოექცეთ ყველანიო, გვიპასუხებს ბ. პლებსი, თუ თვის ლოღიკას არ უმტყუნა. მახლას, ბ. პლებსო!

რის გამოც-კი ქალების კარ-ჩაკეტილობას ბოლო ეღება, ბ. პლებსი ყველაფერს დასტირის. „სამწუხაროდ, ახალმა ეკონომიურმა ვითარებამ სრულიად მოსპო ძველებური ხელ-საქმობა და საოჯახო მრეწველობაო“, ქვითინით შემოგვჩივის ბ. პლებსი; მაგრამ თანაც იმედოვნებს იგი, რომ ძველი ხელ-საქმობა აღდგინდება, რაც დიდს შეღავათს მოუტანს დაცემულს ოჯახს. აი, ბატონებო, თუ გნებავსთ, ნამდვილი იდილია! მთელი განათლებული კაცობრიობა იმასა სცდილობს დღეს, რომ რაც შეიძლება კაცს შრომა გაუადვილდეს; ყოველ დღე ახალ-ახალ იარაღს გვაწვდის ხელში თანამედროვე ტეხნიკა, რის გამოც კაცი თან-და-თან თავისუფლდება ბუნების მეუფებისა და ზედ-გავლენისაგან; თვითეულს მეტი საშუალება ეძლევა ან, უკედ რომ ვსთქვათ, უნდა მიეცეს მომავალში, თავი დააღწიოს აუტანელს ფიზიკურ შრომას; გონებრივი დ ზნეობრივი მხარენი განავითაროს დ გააუმჯობესოს; ყოველი შეგნებული ადამიანი ამ მოვლენას სიხარულით უნდა შეჰყურებდეს, ბ. პლებსი-კი ჯავრით აღარ არის: აქაო და ძველი ხელსაქმობა დაიღუპაო. მაგრამ, უკაცრავად: ვინც საჭიროდ ჰრაცხს, რომ რაც შეიძლება მაგრად ჩაეკეტნონ ქალები თავიანთს ოჯახებში, ის საუკეთესო საშუალებას ვერ მოიგონებს, ვიდრე ძველის ხელსაქმობის აღდგინებაა. მართლაც, რა გინდ მარჯვე იყოს დიასახლისი, ერთის ჩოხის მოქსოვას ერთ თვეს მაინც მოუნდება; მერე წინდა-პაჭიჭები, დარაიას საცვლები, მოქარგული ფაფანაკი, ქისა, ლეკვერთხი, ღილებიანი ახალუხი... ერთი სიტყვით თქვენი სიცოცხლე ამას მოუნდება და აბა მოსცილდით ამ საქმეების გადამკიდე ოჯახს, თუ კარგი ქალი ბრძანდებით! მაგრამ ვთქვათ ბ-ნ პლებსის დარიგებისამებრ შეუდექით წინდა პაჭიჭებ-ლეკვერთხების ქსოვას, მოვიკალათეთ რა ჩვენ ჩვენ ოჯახებში. როგორ გგონიათ, ბ-ნო პლებსო, შორს წაგვიყვანს ვითომ ესეთი მოღვაწეობა? თქვენ დალოცვილო, საოჯახო ხელოსნობა თანამედროვე წარმოებამ მიწასთან გაასწორა და რაღა ჩვენი ქალები ნახეთ იმდენად ძლევა მოსილნი, რომ მათ აღადგინონ ის, რისი აღდგინება თვით საკვირველ-მოქმედებასაც აღარ შეუძლიან!? გეტყობათ იდილიას გაუტაცნიხართ ამ ბოლოს ჟამს. დასტკბით, თუ-კი დრო და ქეიფი გაქვთ, ვინ გიშლით!.

ყოველივე ნათქვამის შემდეგ მოგახსენოთ, ბ-ნო პლებსო, აი რა: თუ თქვენ კერძოდ და საზოგადოდ ქუდოსნებს მანდილოსნებისათვის გული შეგტკივათ აღგვისრულეთ შემდეგი თხოვნა: მოგვეცით საშუალება საფუძვლიანი განათლების მიღებისა, რომ ამ გზით ჩვენ შევადგინოთ დამოუკიდებელი და ჭეშმარიტი შეხედულება; შევიგნოთ ჩვენი ცხოვრების ვითარება; ცხადად დავინახოთ, თუ რას ელტვის თანამედროვე განათლებული კაცობრიობა; როგორი იარაღი უჭირავს მას ხელში ბრძოლის ველზე; რა დამოკიდებულება არსებობს ჩვენ ცხოვრებასა და ჩვენზე წინ წასულ ერთა ცხოვრების შორის; დაგვეხმარეთ შევისწავლოთ ის, რისკენაც უფრო მიეზიდება თვითეულის ბუნება და ამასთან მოგვეცით გზა, რამდენადაც ეს თქვენზედ არის დამოკიდებული, გზა რაც შეიძლება ფართო; როდესაც ამ გზაზედ შეტაკება მოხდეს ქუდოსანთა და მანდილოსანთა შორის, ქუდოსნები ნება-ყოფლობით ჩამოდეგით ხოლმე. სხვას ქუდოსანთაგან არას ვთხოვულობთ მანამდის, სანამ ცხოვრება ხელთ არ მოგვცემს იარაღს ჩვენის საკუთარის ძალ-ღონით მოვიპოვოთ ყოველივე ეს. რაც შეეხება იმას, თუ რას მოვკიდებთ ხელს; ოჯახში დავტრიალდებით, მეცნიერებას მოვახმართ ძალ-ღონეს და ხელოვნებას; დედა-ენას გავამდიდრებთ თუ ქონებას შევძენთ ჩვენ დაცემულ მამულს; საჭიროების დროს თოფს ავიღებთ ხელში და მტერს გავემკლავებით, ეს არც ერთი თქვენი საქმე არ არი; ეს მოგვანდეთ ჩვენ და ცხოვრების ვითარებას; (ამ გვარათ მოქცევა მით უფრო სამართლიანი იქნება თქვენის მხრით, რომ თქვენ თვითონ აღიარებთ. ჩვენ, მამა კაცებს არაფერი მიბაძვის ღირსი არ გაგვაჩნიაო. აბა ერთი მითხარით ესეთმა მამა-კაცებმა რა უნდა გვირჩიონ სახეირო?) მოჰკიდებს ესეთი ქალი ოჯახს ხელს, იგი გახდება გვირგვინი თვისი ოჯახისა; სიყვარულის წყარო ქმრისა და შვილისათვის; მას ნათლად ექნება წარმოდგენილი, თუ რაშია მისი დანიშნულება როგორც დედის და ცოლის; როგორი შვილები უნდა აღუზარდოს მამულს; შესძლებს დააფასოს, თუ რა ძვირფასი იარაღია მისთვის დედა-ენა; რამდენათ საჭიროა ეს იარაღი მისთვის მეუღლური და დედობრივი მოვალეობის აღსრულებისათვის. მოჰკიდებს ესეთი ქალი ხელს განათლების საქმეს, შესამჩნევ კვალს დასტოვებს აქაც; ხელოვნებას—აქაც არ დარჩება უქმ მჭამელად; აირჩევს რომელიმე სპეციალურ სასარგებლო საქმეს, უანგარო და გულწრფელ სამსახურს გაუწევს ამ საქმეს; მოითხოვსდრო და ვითარება, მამა-კაცთან ერთად გამოვა ბრძოლის ველზედ. მაშ კიდევ მოისმინეთ ბ. პლებსო: განათლება, რაც შეიძლება საფუძვლიან და სამოქმედო ასპარეზი; გეგმები და მოძღვრებანი-კი თქვენთვის შეინახეთ; ან არა და იმ მანდილოსნებს მიუძღვენით, რომელთაც რაღაც უცნაური განკაცების სურვილი მოსვენებას არ აძლევს.

კატო.

ბათუმი, 20 იანვარი 1896 წელი.

დო საჭიროებისათვის რაიმე ნაწილი თავისი კუთვნილი დივიდენდიდგან.

◆

ჩვენის საზოგადოების საყურადღებოდ.

ჩვენის ცხოვრების მრავალ-გვარი მოთხოვნილება დღითი-დღე იმდენად იზრდება, რომ მათი გაწდომა, დაკმაყოფილება თითო-ოროლა კერძო ადამიანის მეცადინეობას და გულ-შემატკივრობას არას გზით არ შეუძლია. ყველა ჩვენგანს საკმაოდ შეგნებული აქვს, რომ ჩვენი საზოგადო, საერთო საქმეებისათვის შეერთებული ძალით უნდა ვიზრუნოთ: ჩვენა გვრწამს, რომ ეს არსებითი მოთხოვნილებად არის გადაქცეული ჩვენის ეხლანდელის საზოგადოებისათვის, მაგრამ თითოეულს ცალკ-ცალკე არ შესწევს შეძლება-მოხერხება რაიმე საგრძნობელი სარგებლობა მოიტანოს და კერძო ქველ-მოქმედობამ-კი თავი მოაწყინა ჩვენს საზოგადოებას. ამიტომ ჩვენ, ოდესის ახალგაზდობამ, განვიზრახეთ საზოგადო, საერთო საქმის მიმართ გულ-წრფელი თანაგრძნობა გამოვიწვიოთ ისე, რომ მათ არ ვაგრძნობინოთ, ვითომ მარტო მათის ქველ-მოქმედური განწყობილებით ვსარრგებლობდეთ და თანაც მათი სულიერი მოთხოვნილება დავაკმაყოფილოთ: გარდავსწყვიტეთ ჩვენი მეცადინეობითა და შრომით მოვიპოვოთ საზოგადოების ყურადღება და არა მარტო თავის-შებრალებით და ხვეწნა-მუდარებით. გვინდა მივაწოდოთ ჩვენ საზოგადოებას ჩვენი ნაშრომი, ყველასათვის საინტერესო, სასყიდლად საგანი და ამით მცირეოდენი წვლილი შევკრიბოთ. აი ამ მოსაზრებისა გამო ჩვენ გარდავსწყვიტეთ მივცეთ ჩვენ საზოგადოებას საშუალება ზოგიერთი ჩვენი სამშობლოს ერთვული მოღვაწეთ სურათი და ბარელიეფი მოიპოვოს. ჩვენი მიზანი ამ შემთხვევაში ორნაირია: ერთი—გავავრცელოთ საზოგადოებაში, რამდენადაც შეიძლება, კარგი და შედარებით იაფი სურათები და სკულპტურული ხელობანი, მეორე—შევკრიბოთ სასარგებლო დანიშნულებისთვის და ყველასგან, შეძლებისა და-გვარად, მცირეოდენი წვლილი. ამიტომაც ჩვენს გამოცემულს სურათებს ორ-ნაირი ფასი აქვს: ერთი უფრო ძვირი (უკეთეს ქაღალდზედ) და მეორე იაფი (იგივე სურათი უფრო იაფ ქაღალდზედ*). უმთავრესს მიზნად არის დანიშნული ერთი უსაჭიროესი, უაღრესი მოთხოვნილება ახალ-გაზდობის დახმარება უცხოეთში სწავლა-განვითარების დასასრულებლად. თუ საზოგადოებამაც ჯეროვანი თანაგრძნობა აღმოგვიჩინა, გვინდა დავაარსოთ თანხა, რომელსაც საგნად ექნება ჩვენი ახალგაზდობის გამოჩენილ-გამორკვეულ ნიჭს მისცეს გზა სავარჯიშო. ჩვენი აზრი ამ ჟამად ძნელი ასასრულებელია, მაგრამ ჩვენ, როგორც ახალგაზდებს, გვრწამს, რომ საზოგადოების წრფელი თანაგრძნობა და დახმარება გასჭრის, გაჰკვეთს ყოველივე დაბრკოლებას და წინააღმდეგობას.

ჩვენ ამით ეხლა მხოლოდ ვიწყებთ, შემდეგში გვინდა სხვა ჩვენი სასახელო მოღვაწეების სურათები გამოვსცეთ. ახლო მომავალში განზრახვა გვაქვს დიმიტრი ყიფიანის და ვახტანგ ორბელიანის დიდი სურათები გამოვსცეთ.

ჩვენ სრულიადაც არ გვინდა მონოპოლიად ავიღოთ ამ საერთო სასარგებლო და სამძიმო მიზნისთვინ ზრუნვა; იმედი გვაქ ჩვენი ამხანაგებიც სხვა რუსეთის ქალაქებში წაგვბაძვენ და იმავე მიზნისთვის სხვა რამე საინტერესო საგანს მოჰკიდებენ ხელს. ყოველ ახალ-თაობას შეფერის სრულიად წმინდა, უანგარო იდეების აღძვრა და მათი განხორციელებისათვის თავ-გადადებით ზრუნვა; ახალ-თაობის მოვალეობაა საზოგადოებაში კეთილის აზრების გავრცელება და სიმპატიური იდეების დანერგვა საზოგადოებაში.

დარწმუნებული ვართ ჩვენი საზოგადოება არ დაიშურებს ახალ-თაობის დასახმარებლად მცირეოდენ წვლილს.

ოდესის ქართველი ახალ-გაზდობა.

P. S. ვისაც ენებება შეიძინოს ჩვენგან გამოცემული სურათები და რელიეფები, კეთილ ინებოს და თავისი სურვილი გამოაცხადოს შემდეგ ადგილებში: ტფილისში—„ივერიის“ *) ან „კვალის“ რედაქციებში; ქუთაისში—,,მეურნის‘‘ რედაქციაში, ან ბ. ჭილაძის წიგნების მაღაზიაში, ბათუმში და ოზურგეთში—თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში.

ჩვენ ეხლა მზად გვაქვს: სურათები: 1) მღვდელთ-მთავრის გაბრიელის სურათი—30 კაპ., 2) მამია გურიელის დიდი სურათი ერთი კარგ (ბრისტოლის) ქაღალდზედ—1 მ.. მეორე სერია იგივე სურათი უფრო იაფ ქაღალდზედ—50 კ. 3) მამია გურიელის დიდი გვირგვინიანი რამკით მორთული რელიეფი—2 მ. 4)-ე შოთა რუსთაველის რელიეფი—1 მანეთი.

ოდესის ქართველი ახალ-გაზდობა.

---

*) ბარელიეფი (ამ ჟამად მზად არის მამია გურიელის და რუსთაველის) ყველა ერთნაირია და ამიტომ ყველას შედარებით იაფი ფასი აქვს დანიშნული.

*) სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო ჩვენ არ შეგვიძლიან ვიკისროთ მუდმივი შუამავლობა ამ საქმეში. ხოლოდ პირველ ხანებში მივიღებთ ფულს შემდეგ-კი ახალგაზდობამ სხვა დაასახელოს

რედ.

◆

წერილი რედაქციის მიმართ.

—

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით მადლობა გამოვუცხადო იმ პირთ, რომელთაც შემწეობა აღმოუჩინეს ს. სტეფანწმინდის წიგნთ-საცავს: ა. გვალიაშვილს, რომელმაც დაუკვეთა წიგნთ-საცავს ამ 1896 წ. ჟურნალი „მეურნე“; სვიმონ შადურს,—შემოსწირა 15 ცალი ქართული წიგნი, ღირებული 3 მ. 75 კ., პავლე ღუდუშაურსა—შემოსწირა 5 ცალი ქართული წიგნი, ღირებული 4 მ. 50 კ.; სად. ყაზბეგის ბუფეტის პატრონს მიხეილ გიორგობიანს,—შემოსწირა 2 ცალი რუსული წიგნი; გიგო თოიძეს,—შემოსწირა 2 ც. ქართული წიგნი; ხ. ზ. ედილაშვილს, რომელმაც გამოუგზავნა წიგნთ-საცავს თვის მიერ ნათარგმნი წიგნი „ლინ-ჯარდი და გერტრუდა“; სოლომონ ყაზბეგს, მიტროფანე უშვერიძეს, ერმალოზ გენესამეს, იოსებ გვალიაშვილს, სოლომონ დოლიძეს, ბ-ნ ზალდასტანიშვილსა და ბ-ნ გაგიბერიძეს, რომელთაც ქ. განჯიდამ წიგნთ-საცავს გამოუგზავნეს 56 ქართული წიგნი.

ს. სტეფანწმინდის სკოლის მასწავლებელი
გ. ნათაძე.

5 მარტს,—96 წ.

◆

შემოწირულება.

ამასთანავე ვგზავნი ერთ თუმანს ფულს მომავალ ქართველთა ქალების სკოლის ფონდის სასარგებლოდ, ვსთხოვ უმორჩილესათ რედაქციას ეს ფული გადასცეს ხსენებულის სკოლის კომიტეტის თავმჯდომარეს კნეინა მარია ვახტანგის ასულს ორბელიანისას.

პატივისცემით კნეინა ნინა სოლომონის
ასული ანდრონიკოვისა.

ს. ბაკურციხე, 7 მარტი.

◆

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

10 მარტი.

პეტერბურგი. დაღესტნის სამხედრო გუბერნატორი თავ. ჭავჭავაძე დანიშნულ იქმნა დაჭრილთა ალექსანდრეს კომიტეტის წევრად.

კონსტანტინოპოლი. სასამართლოს დაუსწრებელის განჩინებით ჟურნალ „მეხვერტის“ რედაქტორს ახმედ-რიზას სასჯელად დაედო კატორგაში უვადოდ გაგზავნა.

პარასკევს ღამით ცეცხლი გაჩნდა სტამბულში და გადიწვა 60 სახლი.

ლონდონი. მთავრობის მიერ მოთხოვნილ 10 მილიონ გირვანქა სტერლინგის კრედიტის განხილვის დროს, მორლეიმ წინადადება წარუდგინა პარლამენტს, რომ კრედიტი 100 გირვანქით იქმნას შემცირებული, რითაც მთავრობა განკიცხულ იქმნას გარეშე პოლიტიკის საქმეებისათვის.

ლონდონი. ახალშენთა სტატს-სეკრეტარმა პარლამენტის ყურადღება იმ გარემოებას მიაქცია, რომ გარეშე პოლიტიკას ჰკიცხავენ ისინი, ვინც ეგვიპტიდამ ჯარების გამოყვანის მომხრეაო.

ლონდონი. პარლამენტმა 288 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 145 უარჰყო მორლეის წინადადება მთავრობის გაკიცხვის შესახებ.

მასსოვა. დერვიშებმა 6 მარტს იერიში მიიტანეს საბდერატამდი კასსალის ახლო, მაგრამ უკუქცეულ იქმნენ.

კაირი. იტყობინებიან, რომ პოლკოვნიკმა გენტერმა უბრძოლველად დაიპყრო აკაში. ის წავა ალბათ სუარდეხისაკენ, სადაც დერვიშთა ბანაკია.

11 მარტს.

პარისი. 9 მარტს პარლამენტში დაიწყო სჯა საბიუჯეტო კომისიის მოხსენების შესახებ. ეს მოხსენება, როგორც ვიცით, წინააღმდეგია შემოსავლის კვალობაზედ დაწესებულის გარდასახადისა.

რომი. პარლამენტი. რუდინიმ განაცხადა, ტრადიციონალური მეგობრობა ინგლისთან ზედ ემატებაო კავშირს, რომელიც იტალიას აქვს სხვა-და-სხვა სახელმწიფოებთან. აბაშეთთან ჯერ ზავი არ არის შეკრული, მაგრამ ამის შესახებ მოლაპარაკებაო. მე-კი წინააღმდეგი ვარ იმ პოლიტიკის, რომელსაცა სურს აფრიკაში სამფლობელოები კიდევ მოიმატოსო. პარლამენტმა 214 ხმით 47 წინააღმდეგ მიიღო სავსებით მთავარ-მინისტრის განცხადება. პარლამენტის სხდომა გადიდვა 16 აპრილამდის.

სოფია 14 მარტს თავადი ფერდინანდი მიდის კონსტანტინეპოლში. თან იახლება სტოილოვი და სამხედრო მინისტრი.

◆

განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, ორშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. ბ. კარაპეტიანცი. 1—$1\frac{1}{2}$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი. 5—6 საათ. ორშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. პუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკ ნალოსა დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ).

კბილის ექიმი
ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 10-დგან 2 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
კვირა-უქმე დღეებში
დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (166—1891—89).

ხელ-მეორედ გამოვიდა და წიგნის მაღაზიებს დაურიგდათ გასასყიდად

ფილოსოფოსი

სოკრატი.

თარგმანი მ. მარაძისა,
გამოცემა მ. შარაძისა და ამხ. სტამბისა

წიგნი 63 გვერდია და ღირს ერთი შაური. ვინც ნარდად და დაკლებულის ფასით სყიდვას ისურვებს, უნდა მიჰმართოს მ. შარაძისა და ამხან. სტამბას ნიკოლოზის ქუჩაზე, № 21, „ივერიის“ რედაქციის ქვეშ.

დამზღვევი საზოგადოება
„იაკორი“

(დუზა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც მირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს

გარდა სათადარიგო ფულისა.

დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღ-წამოსაღების საქონლისა.

დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მაგალითი: მამა, 30 წლისა, დაბადებიდგან აზღვევებს შვილის სასარგებლოდ თანხას 10,000 მან., იმ პირობით, რომ ეს ფული 21 წლის შემდეგ გადაიხადოს. ყოველ ოთხის თვის შემდეგ ამ დაზღვევისათვის ის იხდის 154 მან. იმ შემთხვევაში-კი, თუ მამა ადრე მოკვდება, თუნდ დაზღვევის პირველს წელშივე, დანარჩენ შესატან ფულის გარდახდა შეყენებულ იქნება, ყმაწვილს 20 წლის განმავლობაში მიეცემა წლიურად 500მან. და დანიშნულ ვადის გასვლის შემდეგ-კითვით დაზღვეული თანხაც—10,000 მ.

წერილობითიგანცხადებანი დაზღვევისა მიიღებიან და ყოველგვარ საჭირო ცნობათა შეტყობა შეიძლება მოსკოვში არსებულს მმართველობაში. ვოასიის ოლქის სამმართველოში ტფილისში (ველიამინოვის ქუჩაზედ № 2), იმპერიის ყველა ქალაქების სააგენტოებში.

საზოგადოებისათვის სადვილოდ დაზღვევა შეიძლება კუკიაშიაც, სასამართლოს მე-3 განყოფილების გვერდით, სახლი ალელოვისა, თეოდორე ალექსანდრეს ძის ივანოვის სადგომში. (100—721—100)

Дозволено цензурою, Тифлисъ 11-го Марта 1896 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.